ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №16

ქალაქი ქუთაისი

30 ივლისი, 2019 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;
5. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
6. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
7. მაია ყუფარაძე - ჟურნალისტი;
8. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
9. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
10. ემზარ ღვინიანიძე - იმერეთის რეგიონული სავაჭრო –სამრეწველო პალატა;
11. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
12. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი
13. გია ცალანი - დევნილთა სათემო კავშირის უფროსი;
14. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
15. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი.
16. თამარ ხეცურიანი - აკადემიური წრის წარმომადგენელი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 16, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 6 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არის გადაწყვეტილებაუნარიანი, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი;
დავით ერემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
ნინო თვალთვაძე -ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი;
მირზა ხიდაშელი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

დღის წესრიგი

16 სხდომა

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. ქალაქ ქუთაისში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე ანგარიში - გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მერი;
4. სამოქალაქო ინიციატივების პორტალის გაშვება www.volis.kutaisi.gov.ge - ნინო თვალთვაძე, ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე;
5. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების აღსრულების საკითხი - ინიციატორი, ნოდარ ჯიქია (მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე);
6. მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ადგილზე მონახულება.
7. სხვადასხვა:
8. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

1. ქალაქ ქუთაისში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე ანგარიში - გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მერი:

ქუთაისში, თბილისის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა. სრულად გამოიცვალა სანიაღვრე ქსელი, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, დამონტაჟდა ახალი სანათები და ყველა საკომუნიკაციო ქსელი მიწის ქვეშ განთავსდა.
პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 1 106 475 ლარით დაფინასდა.
სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ,,საქმილსადმშენი" განახორციელა. კომპანიამ ქუჩის რეაბილიტაცია 2018 წლის 26 ივნისს დაიწყო და 2018 წლის 29 დეკემბერს დაასრულა.

ქუთაისში დუმბაძის ქუჩის ტროტუარების, სანიაღვრე არხების და ასფალტის საფარის კეთილმოწყობა დასრულდა.

სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა, ქუჩის რეაბილიტაციისთვის 972 745 ლარი დაიხარჯა.
სამუშაოები, რომელსაც შპს „დაგი +“ ახორციელებდა, 2018 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2019 წლის მარტში დასრულდა.

ქუთაისში ბარათაშვილის ქუჩის სრული რეაბილიტაცია დასრულდა.
სამუშაოებისთვის რომელსაც შპს „გზამშენი XXI” ახორციელებდა, რეგიონული განვითარების ფონდიდა 887 441 ლარი დაიხარჯა.
რებილიტაცია 2018 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2019 წლის თებერვალში დასრულდა.

ქუთაისში იაშვილის ქუჩის სრული რეაბილიტაცია დასრულდა.
გზის რეაბილიტაციისთვის, რეგიონული განვითარების ფონდიდან 1 013 278 ლარი გამოიყო.
სამუშაოებს შპს „ორიენტირი“ ახორციელებდა.
სამუშაოები 2018 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2019 წლის მარტში დასრულდა.

ნიკეას N1 შესახვევის გზის საფარის მოწესრიგებისთვის რეგიონული განვითარების ფონდიდან 350 000 ლარი გამოიყო.
სამუშაოებს შპს „დაგი +“ ახორციელებდა.
რეაბილიტაცია 2019 წლის მარტში დაიწყო და 2019 წლის მაისში დასრულდა.

ქუთაისში კიკნაძის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა.
სამუშაოებისთვის, რომელსაც შპს „დაგი+“ ახორციელებდა, რეგიონული განვითარების ფონდიდან 228 000 ლარი გამოყო.
რეაბილიტაცია 2019 წლის თებერვალში დაიწყო და 2019 წლის მაისში დასრულდა.

ვაჟა ფშაველას მერვე შესახვევში გზის საფარის რეაბილიტაცია დასრულდა, სამუშაოები შ.პ.ს. „გიან-2011“ განახორციელა. სამუშაოები 86,253 ლარით რეგიონული განვითარების ფონდმა დააფინანსა.
გზის საფარის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და ივნისში დასრულდა.

დაიგო გზის საფარი გელათის ქუჩის პირველ და მესამე შესახვევებში.
პირველი ჩიხის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდმა დააფინანსა 75,000 ლარით, სამუშაოებს შ.პ.ს. „გიანი“ ახორციელებდა.
გელათის ქუჩის მესამე შესახვევის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდმა დააფინანსა 85, 114 ლარით, სამუშაოებს შ.პ.ს. „იმედი“ ახორციელებდა.
ჩიხების რეაბილიტაცია მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და ივნისში დასრულდა.

ასათიანის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელი და საფეხმავლო ბილიკები სრულად მოწესრიგდა.
სამუშაოებისთვის, რომელსაც შპს „ჯორჯიან სტოუნი“ ახორციელებდა, ბიუჯეტიდან 1 454 456 ლარი გამოიყო.
რეაბილიტაცია 2018 წლის დეკემბერში დაიწყო და 2019 წლის აპრილში დასრულდა.

რუსთაველის ქუჩის სრული რეაბილიტაცია სანიაღვრე ქსელით, საფეხმავლო ბილიკებით და გზის საფარით, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან 3 663 365 ლარით ფინანსდება.
სამუშაოებს შპს“ორიენტირი“ ასრულებს.
რეაბილიტაცია 2019 წლის თებერვალში დაიწყო და 2019 წლის 26 აგვისტოს დასრულდება.

მიმდინარე წლის 26 მარტიდან, ქუთაისში გ.ტაბიძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოებისთვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1,077,306.69 ლარი გამოიყო. შპს „ჯეო სერვისმა“ ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც ხელშეკრულება შეუწყდა და ახალი ტენდერი გამოცხადდა.
ტენდერი უკვე დასრულდა და გამარჯვებულ კომპანიად შპს „პალადა“ გამოვლინდა.
სამუშაოებისთვის 809 204 ლარი გამოიყო

ტყიბულის ქუჩის პირველ ჩიხში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.
რეაბილიტაციისთვის რეგიონული განვითარების ფონდიდან 156 662 ლარი გამოიყო.
სამუშაოებს შ.პ.ს. „იმედი“ ახორციელებს.
ჩიხის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და ივლისში დასრულდება.

გზის საფარის და საფეხმავლო ბილიკების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ვარლამიშვილის ქუჩაზე, რომელსაც შ.პ.ს. „მშენებელი“ ახორციელებს, რეაბილიტაციისთვის რეგიონული განვითარების ფონდმა 471,151 ლარი გამოყო.
რეაბილიტაცია მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და ოქტომბრის ბოლომდე დასრულდება.

ლერმონტოვის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.
რეაბილიტაციისთვის რეგიონული განვითარების ფონდმა 498 111 ლარი გამოყო.
სამუშაოებს შპს“პრიორიტეტი +“ ახორციელებს.
რეაბილიტაცია 2019 წლის მაისში დაიყო და 2019 წლის 19 აგვისტოს დასრულდება.

დაგეგმილია სპორტული სკოლების რეაბილიტაცია.
კრივის დარბაზი, ძიუდოს დარბაზი, ნიჩბოსნობის კომპლექსური სკოლა, თავისუფალი ჭიდაობის დარბაზი, მძლეოსნობის დარბაზი.
რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 1 300 000 ლარი.

დაგეგმილია კულტურულ სახელოვნებო დაწესებულებების რეაბილიტაცია.
სახელოვნებო სკოლა, მეორე, მესამე, მეოთხე მუსიკალური სკოლები.
რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 870 000 ლარი.

საგზაო დეპარტამენტი ქუჩების რეაბილიტაციისთვის 37 მლნ ლარს დახარჯავს.
რეაბილიტაცია ჩაუტარდება:
აღმაშენებლის გამზირის 3 კმ-იან მონაკვეთს,
წერეთლის ქუჩის 2.8 კმ-იან მონაკვეთს,
თავისუფლების ქუჩის 1.5 კმ-იან მონაკვეთს,

საიათნოვას ქუჩის 0.3 კმ-იან მონაკვეთს,
გუგუნავას ქუჩის 1.9 კმ-იან მონაკვეთს,
ჯავახიშვილის ქუჩის 1.415 კმ-იან მონაკვეთს,
ბუხაიძის ქუჩის 0.7 კმ-იან მონაკვეთს,
შარტავას ქუჩის 0. 308 კმ-იან მონაკვეთს,
ნინოშვილის ქუჩის 1.360 კმ-იან მონაკვეთს,
ნიკეას ქუჩის და სულხან საბას დამაკავშირებელ 2.741 კმ-იან მონაკვეთს.

ას საფეხურიანი კიბეების პროექტირებაზე ტენდერი გამოცხადდა

ქუთაისში ყინულის მოედანმა განაახლა ფუნქციონირება.
მოედანზე დაზიანებული აგრეგატი ახალი დანადგარით ჩანაცვლდა.

ქუთაისში სკოლამდელი აღზრდის 2 დაწესებულებაში დამატებითი ფლიგელები აშენდა. ფლიგელები, ქუთაისის N15 და N33 საბავშვო ბაღებს დაემატა.

რიონისპირა სახლების რეაბილიტაცია.
მუნიციპალური განვითარების ფონდმა პროექტირების ტენდერი გამოაცხადა, რომელიც უკვე დასრულდა.

ბავშვთა სოფელში ახალი კორპუსის მშენებლობა-რეაბილიტაცია

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, თემურ ამყოლაძე, ომარ კიკვიძე, მაია ყუფარაძე, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მამუკა თევდორაძე, გია ცალანი, თეონა გოგიშვილი, ნინო ხუხუა, თამარ ხეცურიანი.

2. სამოქალაქო ინიციატივების პორტალის გაშვება www.volis.kutaisi.gov.ge - ნინო თვალთვაძე, ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე:

საბჭოს წევრები გაეცვნენ კონკურსის ფარგლებში შექმნილ ვიდეო ინსტრუქციას და პირობებს:
ვიდეო ბმული იხილეთ შემდეგ მისამართზე:
https://youtu.be/xmk9odUs758

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის განხილვა გადაიდო საბჭოს მომდევნო სხდომისთვის, საბჭოს წევრების მიერ ჩატარდა ხელახალი კენჭისყრა და დღის წესრიგში დაემატა მერიის მოთხოვნით საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე მერიის მიერ იანვრი-ივლისში განხორციელებული მივლინებებსა და სამომავლო ვიზიტებზე დეტალური ინფორმაცია. - მომხსენებელი, ქუთაისის მერის მოადგილე ნინო თვალთვაძე.

3. ინფრასტრუქტურული სამუშაოების საველე დათვალიერება:

ქუთაისის მერმა მოადგილე დავით ერემეიშვილთან და მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ერთად, ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა. გიორგი ჭიღვარიამ საბჭოს წევრებს ტაბიძის, ლორთქიფანიძის, რუსთაველისა და ვარლამიშვილის ქუჩებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები გააცნო.

გიორგი ჭიღვარია (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი) - "ყოველდღიურად ხდება ქუჩების სარეაბილიტაციო პროცესის მონიტორინგი, რათა ვადებში მოხდეს ყველა დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულება".

ნოდარ ჯიქია (მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) - "ჩვენ ფრაგმენტულად დავათვალიერეთ აღნიშნული სამუშაოები. მათი სრული ანალიზისთვის გვესაჭიროება ვიცოდეთ სატენდერო პირობების მოცემულობანი, ვადები კონკრეტულ ლოკაციებზე,. რასაც ვხედავთ არსად არ არის განთავსებული ბანერები, სადაც ეწერებოდა ვინ, სად, რა ვადაში და რის რეაბილიტაციას ახორციელებს. ასევე სასურველი იქნებოდა, რომ გვხლებოდა გარე შემფასებლები, დარგის სპეციალისტები. დადებითად ვაფასებ, რომ რუსთაველის ქუჩაზე ჭადრის ხის ნაცვლად შუქამრეკლი საგზაო ნიშნების განთავსებას, რაც სამომავლოდ არაერთ ავტოსაგზაო შემთხვევისგან დაიცავს ადამიანებს. დადებითია რომ შეჭრებს აკეთებენ ნარჩენების ურნებისთვის, ასევე ბაზრის მიმდებარე ტერიოტორიაზე ელგანათების ნათურების დაყენება ბოძებით. სასურველია, რომ საბჭოს მიერ გაგრძელდეს ინპსპექტირება შესაბამის ექსპერტებთან ერთად".

მეგი ნიჟარაძე (საბჭოს წევრი) - "მინდა ავღნიშნო დათვარიელების შემდეგ დავრწმუნდი რომ მალე ვიხილავთ ჩვენს ქალაქს კიდევ უფრო გალამაზებულს. შესამჩვნევია სამუშაოების წარმოების მაღალი ხარისხი. იმედია ჩვენი მოლოდინი გამართლდება .მოსახლეობას აქვს პრეტენზია, რომ სარემონტო სამუშაოები დაბალი ინტენსივობით და ნაკლები მუშახელით მიმდინარეობს. კარგი იქნება თუ ქალაქ ქუთაისის მერია კიდევ ერთხელ გააკეთებს განცხადებას, რომლითაც დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის მოსახლეობას და განცხადებაში აღნიშნული ვადები კიდევ არ გადაიწევს".

ინგა აბრამიძე (მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) - "მისასალმებელია, ის ფაქტი რომ ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ინტენსიურად. სასურველია, მოსახლეობას მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია".

საბჭოს შემდგომი მე-17 სხდომა გაიმართება ამა წლის 2 სექტემბერს 14:00 საათზე, მერიის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე